



4870/3-53/22 2 31052022



4870/3-53/22
31-05-2022

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს

გაცნობებთ, რომ პარლამენტის წევრთა შვიდკაციანმა ჯგუფმა ინტერპელაციის წესით, პრემიერ-მინისტრს გაუგზავნა შეკითხვა თუ რა სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს მთავრობა იმისათვის, რომ საქართველოს ტერიტორიის, საქართველოში რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირების თუ სხვა სუბიექტების გამოყენებით არ მოხდეს აღნიშნული სანქციების რეჟიმის დარღვევა რუსეთის ფედერაციისა და მათი წარმომადგენლების მიერ?

ზემოთხსენებულ კითხვაზე პასუხისას პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს უსაფრთხოების სამსახური მუდმივ რეჟიმში მოიძიებს ინფორმაციას საქართველოსა და უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების გამოსავლენად, რომელთა საქმიანობა შესაძლოა, მიმართული იყოს ისეთი ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზებისკენ, რაც ხელს შეუწყობს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე კერძო პირებს ან კომპანიებს, საქართველოს გამოყენებით თავი აარიდონ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს.

პრემიერმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნების სამსახურებთან.

ყოველივე ზემოთხსენებულიდან გამომდინარე გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მომაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. თუ რა კონკრეტული ღონისძიებები გატარდა ამ მიმართულებით (გთხოვთ, მომაწოდოთ ღონისძიებების დეტალური ჩამონათვალი პერიოდების მიხედვით).
2. ზემოთ მოყვანილ საკითხებთან დაკავშირებით უშუალოდ რომელი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნების, რომელ სამსახურებთან თანამშრომლობს საქართველოს უსაფრთხოების სამსახური.
3. პრემიერის მიერ ნახსენები ჩატარებული ღონისძიებების შედეგად გამოვლინდა თუ არა საქართველოსა და უცხო ქვეყნის ისეთი ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა საქმიანობა შესაძლოა, მიმართული იყოს ისეთი ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზებისკენ, რაც ხელს შეუწყობს რუსეთის ფედერაციის მოქალაქე კერძო პირებს ან კომპანიებს, საქართველოს გამოყენებით თავი აარიდონ რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს.
- ა) ასეთის გამოვლენის შემთხვევაში, გთხოვთ მომაწოდოთ გამოვლენილი ფიზიკური და იურიდიული პირების ჩამონათვალი.
- ბ) ამუშავეს და ინახავს თუ არა თვენი უწყება გამოვლენილ პირთა მონაცემებს შემდგომი პრევენციის მიზნით; გ) აწვდით თუ არა ინფორმაციას ამ პირთა შესახებ სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნების შესაბამის სამსახურებს;

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია

თ. კორძია



4929/3-53/22
02-06-2022

საქართველოს ნოტარიუსთა პალატას

გაცნობებთ, რომ პარლამენტის წევრთა შვიდკაციანმა ჯგუფმა ინტერპელაციის წესით, პრემიერ-მინისტრს გაუგზავნა შეკითხვა თუ რა სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს მთავრობა იმისათვის, რომ საქართველოს ტერიტორიის, საქართველოში რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირების თუ სხვა სუბიექტების გამოყენებით არ მოხდეს აღნიშნული სანქციების რეჟიმის დარღვევა რუსეთის ფედერაციისა და მათი წარმომადგენლების მიერ?

ზემოთხსენებულ კითხვაზე პასუხისას პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში გაგზავნილი ინფორმაციის საფუძველზე, აკრძალვების რეესტრში განთავსდა დამატებითი ინფორმაცია ევროკავშირის სანქციების თაობაზე რუსეთის ფედერაციისა და ბელარუსის რესპუბლიკის მიმართ. პრემიერმა დააზუსტა, რომ ნოტარიუსთა კორპუსს ეთხოვა, ყოველდღიური საქმიანობის პროცესში მხედველობაში მიიღოს წარმოდგენილი სანქცირებულ პირთა სიები და, დამთხვევის შემთხვევაში, მიიღონ შესაბამისი ზომები.

ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მომაწოდოთ ინფორმაცია:

1. რამდენ შემთხვევაში გამოვლინდა დამთხვევები სანქცირებულ პირთა მონაცემებსა და მომსახურების მიმღებ პირებს შორის.
 - 1) რა ღონისძიებები გატარდა ასეთ შემთხვევებში.

2) გთხოვთ, მომაწოდოთ იმ სუბიექტთა სია ვისი მონაცემებიც
დაემთხვა მომსახურების მიმღებ პირთა მონაცემებს.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია

თ. კორძია



4923/3-53/22
02-06-2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ პარლამენტის წევრთა შვიდკაციანმა ჯგუფმა ინტერპელაციის წესით, პრემიერ-მინისტრს გაუგზავნა შეკითხვა თუ რა სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს მთავრობა იმისათვის, რომ საქართველოს ტერიტორიის, საქართველოში რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირების თუ სხვა სუბიექტების გამოყენებით არ მოხდეს აღნიშნული სანქციების რეჟიმის დარღვევა რუსეთის ფედერაციისა და მათი წარმომადგენლების მიერ?

ზემოთხსენებულ კითხვაზე პასუხისას პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს ყველა სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ღონისძიებას, მათ შორის, სურსათის უვნებლობის კუთხით, რათა საქართველოს ტერიტორიის, საქართველოში რეგისტრირებული ფიზიკური და იურიდიული პირების თუ სხვა სუბიექტების გამოყენებით არ მოხდეს რუსეთის ფედერაციისა და მისი წარმომადგენლების მიმართ დაწესებული საერთაშორისო სანქციების რეჟიმის დარღვევა და თავის არიდება.

პრემიერს არ განუმარტავს კონკრეტულად რა ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად. ამიტომ, გთხოვთ, საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილის საფუძველზე მომაწოდოთ კონკრეტული ინფორმაცია:

1. თუ რა ღონისძიებები იქნა გატარებული სამინისტროს მიერ რათა არ მოხდეს რუსეთის ფედერაციისა და მისი წარმომადგენლების მიმართ დაწესებული საერთაშორისო სანქციების რეჟიმის დარღვევა და თავის არიდება.
2. გამოვლინდა თუ არა დარღვევები ზემოთ ხსენებული მიზნით გატარებული ღონისძიებების საფუძველზე (ასეთის შემთხვევაში გთხოვთ, მომაწოდოთ დამრღვევ სუბიექტთა სია).

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
თამარ კორძაია

